2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შპს ემ ელ თი ლოჯისტიკს

მსს ფასს

სარჩევი

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე Error! Bookmark not defined.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 4

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 5

1. ზოგადი ინფორმაცია 6

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა 6

2.1. წარდგენის საფუძვლები 6

2.2. მომზადების საფუძვლები 6

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა 7

2.4. ამონაგების აღიარება 7

2.5. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები 8

2.6. მოგების გადასახადი 8

2.7. ძირითადი საშუალებები 9

2.8. არამატერიალური აქტივები 10

2.9. მარაგები 10

2.10. კაპიტალი 10

2.11. უცხოური ვალუტა 11

2.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 11

1. ძირითადი საშუალებები 12

2. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 13

3. სავაჭრო ვალდებულებები 13

4. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 13

5. სესხები 14

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31დეკემბერი 2022	31დეკემბერი 2021	31დეკემბერი 2020
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	2,930,931	2,482,767	1,540,710
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		**2,930,931**	**2,482,767**	**1,540,710**
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები		186,517	-	80,752
ავანსები და სხვა მოკლევადინი აქტივები		176.536	245,124	493,356
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		834,474	308,937	247,566
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2	232,383	183,967	101,772
მთლიანი მიმდინარე აქტივები		**1,429,910**	**738,028**	**923,445**
მთლიანი აქტივები		**4,360,841**	**3,220,795**	**2,464,155**
კაპიტალი და ვადებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		39	39	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(192,620)	(856,520)	(506,182)
მთლიანი კაპიტალი		**(192,582)**	**(856,481)**	**(506,182)**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3	2,819,390	3,316,800	2,740,259
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		**2,819,390**	**3,316,800**	**2,740,259**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		31,154	15,613	8,652
სავაჭრო ვალდებულებები	4	1,280,370	436,518	58,230
სხვა ვალდებულებები		422,510	308,346	163,196
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		**1,734,033**	**760,476**	**230,078**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**4,360,841**	**3,220,795**	**2,464,155**

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31დეკემბერი 2022	31დეკემბერი 2021	31დეკემბერი 2020
შემოსავალი რეალიზაციიდან		7,067,336	4,320,831	2,065,699
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(6,080,648)	(4,432,062)	(1,730,665)
მთლიანი მოგება		**(986,688)**	**(111,230)**	**335,034**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**5**	(699,748)	(385,332)	(229,509)
მთლიანი საოპერაციო ხარჯები		**(699,748)**	**(385,332)**	**(229,509)**
საოპერაციო მოგება		**(286,940)**	**(496,562)**	**105,525**
ფინანსური ხარჯი		(634,828)	(220,075)	(112,142)
(ზარალი) / მოგება სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		766.573	359,791	(249,590)
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა (ზარალი)		65	6,508	(44)
მოგება დაბეგვრამდე		**(418,750)**	**(350,338)**	**(256,253)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-	(392)
საანგარიშო პერიოდის მოგება		**(418,750)**	**(350,338)**	**(256,644)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**(418,750)**	**(350,338)**	**(256,644)**

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**-**	**(506,182)**	**(506,182)**
წლის მოგება/ზარალი		(350,338)	(350,338)
წლის სხვა შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი შემოსავალი	-	*(350,338)*	*(350,338)*
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	39	-	39
დივიდენდები	-	-	-
ოპერაციები მფლობელებთან	*39*	-	*39*
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**39**	**(856,520)**	**(856,481)**
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**-**	**(856,520)**	**(856,520)**
წლის მოგება/ზარალი		418,750	418,750
წლის სხვა შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი შემოსავალი	0	418,750	418,750
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	39	**245.150**	39
დივიდენდები	-	-	-
ოპერაციები მფლობელებთან	-	245.150	39
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**39**	**(192620)**	**(437,731)**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ემ ელ თი ლოჯისტიკს " დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2018 წლის 23 მარტს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 402081153 ორგანიზაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ოპერირებს თბილისში საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე.

კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. მისი ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები. კომპანიას ჰყავს ორი პარტნიორი. ეროვნებით სომეხი ჰაიკ მელიქიანი და ქართველი გიორგი ბიწაძე. პარტნიორებისა და მათი წილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

პარტნიორი	2022 %
AP0686365, ჰაიკ მელიქიან	49,00
01023005788, გიორგი ბიწაძე	51,00
სულ	**100.00**

შპს ""ემ ელ თი ლოჯისტიკს "-ში დასაქმებულია საშუალოდ 25 ადამიანი, კომპანიაში დაცულია და ყურადღებაექცევა შრომის უსაფრთხოებას.

კომპანიის იურიდიული მისამართია : საქართველო , თბილისი, ისანის რაიონი, ქეთევან წამებულის გამზ., N54 .

ფაქტობრივი მისამართი : გარდაბნის რაიონი, სოფელი გამარჯვება.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ვალუტაში - ლარში.

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში. კომპანია საბურალტრო აღრიცხვისთვის იენებს საბურალტრო პროგრამა "ფინას".

2.2. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია.

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება კომპანიის მიერ შესაბამის საოპერაციო ვალუტაში(ლარი) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული საბალანსო ნაშთები საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის გადაიყვანება კომპანიის საოპერაციო ვალუტაში, ანგარიშგების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაყვანით ასახულია პერიოდი სოგება-ზარალში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება მის მიერ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით / სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორიცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

2.3. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. 2022 წელს ბანკის მიერ კომპანიაზე გაცემული სესხი შეადგენს 833,399.53 ლარს, ხოლო დამფუძნებლებისგან აღებული ჯამური სესხი - 1,985,990.22 ლარს.

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯები. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია მფლობელისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვით მოგება/ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაზღვრული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

2.4. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ახალი რეგულაციის მიხედვით, რომელიც 2017 წლიდანაა ძალაში, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

კომპანიას 2022 საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გაუნაწილებია მოგება და ასევე, არ განუხორციელებია რაიმე ოპერაცია, რომელიც დასაბეგრი იქნებოდა მოგების გადასახადით. შესაბამისად, მოგების გადასახადის ხარჯი ნულის ტოლია აღნიშნულ პერიოდში.

2.5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში მიღებიდან. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები, რომელიც შეესაბამება მისი გამოყენების ოპტიმალურ პერიოდს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	5 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ნაგებობა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი[1]
შენობა	70 წელი

[1] განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალების გამოშვების თარიღის მიხედვით

2.6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

2.7. მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები) ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება საწვავებისგან და გასაყიდად გამიზნული პროდუქციისგან.

2.8. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგება-ზარალს.

2.9. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს, ერთი ევროსათვის შეადგენს 2.8844.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

1. ძირითადი საშუალებები

ლარი *2020 წელი*	ძირითადი საშუალებები	დაგროვილი ცვეთა	საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს
მიწის ნაკვეთები	61,658	-	61,658
შენობები	960,274	-	960,274
ნაგებობები	-	-	-
მანქანა–დანადგარები	-	-	-
ოფისის აღჭურვილობა	5,451	619	4,832
ავეჯი და სხვა ინვენტარი	487	89	398
სატრანსპორტო საშუალებები	613,405	99,858	513,547
სულ	**1,641,275.56**	**100,565**	**1,540,710**

ლარი *2021 წელი*	ძირითადი საშუალებები	დაგროვილი ცვეთა	საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს
მიწის ნაკვეთები	126,658	-	126,658
შენობები	1,457,193	1,825	1,455,368
ნაგებობები	3,500	366	3,134
მანქანა–დანადგარები	1,585	19	1,566
ოფისის აღჭურვილობა	14,211	2,405	11,806
ავეჯი და სხვა ინვენტარი	8,541	586	7,954
სატრანსპორტო საშუალებები	1,042,520	166,239	876,281
სულ	**2,654,207.57**	**171,440**	**2,482,767**

ლარი *2022 წელი*	ძირითადი საშუალებები	დაგროვილი ცვეთა	საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს
მიწის ნაკვეთები	533,274	-	533,274
შენობები	1,457,193	23,094	1,434,099
ნაგებობები	9,606	1,938	7,668
მანქანა–დანადგარები	34,939	4,109	30,830
ოფისის აღჭურვილობა	23,322	5,758	17,565
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10,624	2,568	8,055
სატრანსპორტო საშუალებები	1,150,998	251,559	899,439
სულ	**3,219,956.20**	**289,026**	**2,930,931**

2. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	22,584	336	26,791
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში	209,462	138,648	74,981
საბანკო ანგარიში არარეზიდენტ ბანკში	336.64	44,983.05	-
სულ ფულადი სახსრები	**232,383**	**183,967**	**101,772**

3. სავაჭრო ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში ასახულია დაახლოებით 15 კრედიტორი. კრედიტორული დავალიანების დაფარვა ხდება 15-30 დღის განმავლობაში. ასევე, კრედიტორთა გარკვეული რაოდენობის დავალიანების დაფარვა ხდება ერთი კვირის ვადაში.

ლარი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები იურიდიული პირების მიმართ	1,280,369.84	436,518	58,230
სავაჭრო ვალდებულებები ფიზიკური პირების მიმართ		-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**1,280,370**	**436,518**	**58,230**

4. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	წელი 2022	წელი 2021	წელი 2020
ხელფასი	180,282	50,080	9,571
თანამშრომლის სარგებელი	-	-	7,661
ოფისის ხარჯი	29,717	2,114	8,135
კომუნიკაცია	3,068	1,354	205
რეკლამა	1,332	50,000	-
დაზღვევა	20,707	19,219	15,975
საკონსულტაციო ხარჯები	25,646	23,083	24,765
მარკეტინგის და წარმომადგენლობითი საწევრო ხარჯები	86,229	92,227	69,045
ბანკის ხარჯი	19,608	16,678	14,757
ჯარიმა	1,595	15,237	-
ცვეთა	158,457	79,266	61,726
სხვა ხარჯები	173,109	36,074	17,670
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**699,748**	**385,332**	**229,509**

5. სესხები

ლარი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გრძელვადიანი სესხი დამფუძნებლებისგან	1,985,990	2,161,836	1,613,737
გრძელვადიანი სესხი ბანკისგან	833,400	1,154,964	1,126,522
Total loans	**2,819,390**	**3,316,800**	**2,740,259**

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყველა თანხა არის მოკლევადიანი, რომელიც წარმოშობილია არაუგვიანეს 6 თვისა. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია რეალურ ღირებულებასთან მიახლოებულ თანხად. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. 2022 წლის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნის თანხებში ასახულია დაახლოებით 70 დებიტორის მოკლევადიანი მოთხოვნა. დებიტორული მოთხოვნის დაფარვა ხდება 15-30 დღის განმავლობაში. ასევე, დებიტორთა გარკვეული რაოდენობა დავალიანებას ფარავს ერთი კვირის ვადაში. სავაჭრო მოთხოვნა 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 787564,70 ლარს.